

შპს „გამა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	_3_
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება	_4_
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	_5_
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	_5_
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	_6_

შპს „გამა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,743	90,309
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	1,700	1,772
მოკლევადიანი მარაგები	187,803	174,982
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	89,618	98,821
სხვა მოკლევადიანი აქტივები	787	2,986
სხვა გრძელვადიანი აქტივები	300	8,714
სხვა არამატერიალური აქტივები	24,002	25,962
ძირითადი საშუალებები	606,540	651,786
სულ აქტივები	914,493	1,055,332
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	13,640	15,373
ანარიცხები	3,524	3,524
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7,000	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	79,409	84,041
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	72,132	62,046
სულ ვალდებულებები	175,705	164,984
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	1,925,039	1,933,453
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,186,251)	(1,043,105)
სულ საკუთარი კაპიტალი	738,788	890,348
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	914,493	1,055,332

მთავარი ბუღალტერი: ბეჟანი ტონია -----

შპს „გამა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	313,895	475,742
გაყიდვების თვითღირებულება	(184,054)	(263,776)
საერთო მოგება	129,841	211,966
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(147,993)	(144,668)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(7,604)	(17,767)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(6,469)	(6,818)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(12,213)	(10,682)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(7,833)	(13,890)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(53,353)	(50,119)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(50,173)	(23,532)
საოპერაციო მოგება	(155,797)	(55,510)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	63,658
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	1,913	(3,725)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10,738	4,144
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(143,146)	8,567
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	(143,146)	8,567
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(143,146)	8,567

მთავარი ბუღალტერი: ბექანი ტონია -----

შპს „გამა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(83,630)	(124,012)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი) წმინდა ფულადი ნაკადები	(6,700)	222,752
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	4,035	(24,090)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(86,295)	74,650
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა	(271)	(657)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	90,309	16,316
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,743	90,309

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,877,360	(939,931)	937,429
პერიოდის შედეგი		(111,741)	(111,741)
გაცემული დივიდენდი			-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,877,360	(1,051,672)	825,688
პერიოდის შედეგი	56,093	8,567	64,660
გაცემული დივიდენდი			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,933,453	(1,043,105)	890,348
პერიოდის შედეგი	(8,414)	(143,146)	(151,560)
გაცემული დივიდენდი			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,925,039	(1,186,251)	738,788

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც წარმოდგენილია 6-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფილ ნაწილს.

მთავარი ბუღალტერი: ბექანი ტონია -----

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გამა“ (კომპანია) დაფუძნებულია და რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 30 აგვისტოს. სარეგისტრაციო ნომერი 2/4-869. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 49ბ; ფაქტიური მისამართი : სოფელი მარტყოფი; საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი 201950273.

2021 წლიდან შპს „გამას“-ს 100% წილიდან ასივე პროცენტს ფლობს შპს „ავალენზი“ საინდეტიფიკაციო ნომერი 405347414 .

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტების) წარმოება, მასთან დაკავშირებული ნედლეულის შესყიდვა და გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია;

სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული .

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით: საქართველოს კანონი“ მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს სტანდარტები).

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა– ელექტრონული ფორმით, კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“.

კომპანია იყენებს კანონის შესაბამისად მოქმედ ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმას. ძირითადად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა 2021 წლისთვის შეადგენდა 22 თანამშრომელს (2020 წელს 27 თანამშრომელს).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოცემულია ლარებში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3,0976 ლარს და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 3,2766 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული შედეგები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობისას) ღირებულებით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს ჯგუფების მიხედვით 2–დან 25 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს :

N ჯგუფის დასახელება	ცვეთის ნორმა %
1 შენობა-ნაგებობები	4
2 მანქანა-დანადგარები	10-20
3 ელექტროძრავები, თბოტექ. მოწყ.	10-20

4 კომპ.ტექნიკა და პერიფ.მოწყ.

20-30

5 ავეჯი და სხვა ინვენტარი

20-50

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღირიცხება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს : ნასყიდობის ფასს, საიმპორტო ბაჟს, უკან ამოღებას დაუქვემდებარებელ გადასახადებს, კომპანიამდე ტრანსპორტირებას, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს ; საკუთარი ძალით სამეურნეო წესით შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტიური თვითღირებულებით;

ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით(დისკონტირებული);

უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

მოგება, ან ზარალი , რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ანგარიშგებაში თვითღირებულებით (გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი-ასეთის არსებობისას), რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით; საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;

არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის ამოწურვამდე. რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-10 წელს; ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საიჯარო გადასახადი მეიჯარისთვის არის შემოსავალი, ხოლო მოიჯარისთვის ხარჯი, რაც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 სხვა აქტივები

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

შრომის დაცვის საშუალებები და სპეცტანსაცმელი აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შემენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები კომპანიის მიერ შემოსავალში ტარდება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან , ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

კომპანიაში წარმოებული მზა პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოების თვითღირებულებით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწრა ხდება „საშუალო შეწონილი“ ფასების მეთოდით.

პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში; პროდუქციის თვითღირებულებაში შესული ნედლეულის ხარჯვის ნორმები აღებულია კომპანიის შესაბამისი დროებითი ფარმაკოპეის სტატიებიდან, რომელიც დამტკიცებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ;

შეზღუდული ვარგისიანობის ვადის მქონე საკუთარი წარმოების პროდუქციის სავაჭრო-საბითუმო ქსელიდან დაბრუნების შემთხვევაში ჩამოფასდება შესაძლო სარეალიზაციო ფასამდე, გაიყიდება ან ვადის გასვლის შემდეგ ჩამოიწერება ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ფინანსურ ანგარიშში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

3.6.1 ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა—ჩასხმა წარმოებს პლასტიკური ბარათით შესყიდვის ღირებულებით. საწვავი ავტოსატრანსპორტზე ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმის შესაბამისად;

კომპანიის მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ორმოცდაათ ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;

სამშენბლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

3.7 მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნა (აქტივი) აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. მოთხოვნის (აქტივების) აღიარება წყდება, როდესაც აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს აქტივებთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები ანგარიშგებაში მოცემულია ნომინალური ღირებულებით; მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. მოთხოვნების ამოღება დამოკიდებულია იმ განუსაზღვრელ გარემოებებზე, რომელშიც საწარმოს უხდება საქმიანობა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სავსებით შესაძლებელია რომელიმე პირმა ვერ შეასრულოს თავისი ვალდებულება საწარმოს წინაშე და ვერ უზრუნველყოს მოთხოვნის დაფარვა ნაწილობრივ ან მთლიანი ოდენობით. აღნიშნული გარემოება განაპირობებს მოთხოვნების უიმედობას, რაც თავისთავად უნდა

ჩამოიწეროს(მსს ფასს-ის 11.21-11.23 მუხლი). უიმედო მოთხოვნების ჩამოწერის აუცილებლობა ნაკარნახებია შესაბამისობისა და საიმედოობის მოთხოვნით. უიმედო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

3.8 ვალდებულებები

ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ანგარიშგებაში ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა მოუწევს კომპანიას;

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ანგარიშგებაში აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით;

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო გაწეული.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა, რაც აღიარებულია კომპანიის კაპიტალში.

2021 წელს მოხდა დამფუძნებლების შეცვლა(100% წილს ფლობს შპს“ავალენზ“) და საწესდებო კაპიტალში შეუტანელი თანხების სტორნირება 8414 ლარით.

აკუმულირებული მოგება–ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება–ზარალს.

3.10 შემოსავლების აღიარება და ხარჯების აღრიცხვა

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია ნეტო ღირებულებით (ე.ი. დღგ-ს გარეშე).

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მისი წყაროების მიხედვით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15 %-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას აქვს ზარალი მიღებული, რომელიც ზრდის წინა წლებში მიღებულ ზარალს; დივიდენდი არ გაუნაწილებია.

3.12 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიდა წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ბალანსის ახსნა-განმარტებები

4.1 ძირითადი საშუალებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ჯგუფის დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 შენობა-ნაგებობები	589233	632741	680234
2 მანქანა-დანადგარები	1123	1588	12678
3 ელექტროძრავები, თბოტექ. მოწყ.	6620	7474	7180
4 კომპ. ტექნიკა და პერიფ. მოწყ.	6979	2171	1110
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	146	275	563
6 მსუბუქი ავტომობილები	15016	17000	0
აკუმულირებული ცვეთა	(50945)	(47831)	(60272)
	568172	613418	641493
6 მიწის ნაკვეთი	37768	37768	278540
7 ბიოლოგიური აქტივი	600	600	600
სულ გრძელვადიანი აქტივი :	606540	651786	920633

ანგარიშგებაში წარმოდგენილი გრძელვადიან აქტივებს ასეთი სტრუქტურა გააჩნია;

სხვა გრძელვადიან ქტივებში მოცემულ 300 ლარი ჩარიცხულია როუმინგისთვის (მოზ. ტელეფონისთვის)); მიწის ნაკვეთს ცვეთა არ ერიცხება; ბიოლოგიური აქტივი (კავკასიური ნაგაზი) ადმინისტრაციამ მიაკუთვნა გრძელვადიან აქტივებს იმ დანიშნულებით, რომ ის ასრულებს სადარაჯო ფუნქციებს და არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგიურ აქტივს, ცვეთა არ ერიცხება.

2019 წელს შემოსულია 778 ლარის ძირითადი საშუალებები, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2020 წელს შემოსულია 19756 ლარის და გაიყიდა ამორტიზებული მსუბუქი ავტომანქანა. 2021 წელს შემოსულია 5700 ლარის ძირითადი საშუალებები , ჩამოწერა არ განხორციელებულა.

4.2 არამატერიალური აქტივები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი არამატერიალურ აქტივებს შემდეგი სტრუქტურა გააჩნია:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 პროგრამული უზრუნველყოფა	209	277	339
2 ლიცენზიები	3539	3170	2837
3 სხვა არამატ-აქტივები	23214	25437	27661
აკუმულირებული ცვეთა	(2960)	(2922)	(2652)
სულ არამატერიალური აქტივები :	24002	25962	28185

2019 წელს შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 1800,00 ლარის ოდენობით და 338,98 ლარის პროგრამული უზრუნველყოფა, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2020 წელს შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 700 ლარის ოდენობით, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2021 შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 1000,00 ლარის ოდენობით, ჩამოწერა არ განხორციელებულა.

4.3 მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 ნედლეული და მასალები	103279	61909	54210
2 მზა პროდუქცია	44769	85483	46262
3 სხვა სასაქონ. მატ. მარაგები	39755	27590	26995
სულ მარაგები :	187803	174982	127467

4.4 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
მოთხოვნები მიწო. მომსახ.:	89618	98821	26472
სულ სავაჭრო მოთხოვნები :	89618	98821	26472

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 15-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. სავაჭრო მოთხოვნებში 2021 წლის ბოლოსთვის არის როგორც საქონლის გაყიდვიდან მოთხოვნები, აგრეთვე მიწის გაყიდვიდან სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიფაროს 2022 წელს. კომპანიის ადმინისტრაციას 2021 წელს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

]

4.5 სხვა მიმდინარე აქტივები და გადახდილი ავანსები

სხვა მიმდინარე აქტივებს და გადახდილ ავანსებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 სხვა მიმდინარე აქტივი :			
წინასწარ გადახ.საშემოს.	0	2283	0
წინასწარ გადახ. ქონება	367	438	677
წინასწარ გადახ.ბუნებ.რეს.მოსაკ.	1	2	4
წინასწარ გადახდილი დღგ	419	263	0
წინასწარ გადახ.ბუღ.ჟურნალისტვის	0	0	360
სულ:	787	2986	1041
2 გადახდილი ავანსები :	1700	1772	10900
სულ:	1700	1772	10900

გადახდილი ავანსები მოიცავს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ მომწოდებლებს; კომპანიის ადმინისტრაციას არ განუხორციელებია უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა.

4.6 გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადი ანგარიშგებაში განმარტებულია 3.11 პუნქტში.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

შეზღუდული საზოგადოება „გამა“-ს ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით ქ. თბილისისა და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში, მათი სტრუქტურა შემდეგია :

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 ნაღდი ფული სალაროში	41	1353	473
2 ეროვნული ვალუტა ბანკში	3669	88948	6278
3 უცხოური ვალუტა ბანკში	33	8	9565
სულ :	3743	90309	16316

უცხოური ვალუტა კონვერტირებულია ლარში ტრანზაქციებისა და ანგარიშგების წარდგენის თარიღებით.

4.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მოწოდ. და მომსახ.წარმ.ვალდებ.	13640	15373	24961
სულ:	13640	15373	24961

გარკვეული საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი 1-30 დღე.
ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ.

4.8.1 სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 გადასახდელი ხელფასები	48364	48364	65519
2 მიღებული ავანსები	13212	0	44611
3 გადასახდელი საშემ.გადასახ.	10516	11341	15630
4 ვალდებულებ.პერსონ.წინაშე	0	0	0
5 გადასახდელი დღგ	0	2301	2460
6 მოგების გადასახადი	0	0	0
7 საპენსიო ანარიცხები	40	40	345
სულ :	72132	62046	128565

საგადასახადო ვალდებულების მუხლებში ჩართულია დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოწურული არ არის. მიღებული ავანსები, 2022 წელს გასტუმრებული იქნება კომპანიის მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის მიწოდებით მყიდველისთვის.

4.8.2 სესხები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მიმდინარე სასესხო ვალდ.	7000	0	27300
სულ:	7000	0	27300
2 გრძელვადიანი სასესხო ვალდ. :			
2.1 სესხები თანამშრომლებისგან	24335	27300	0
2.2 სესხები საბანკო	0	0	84689
2.3 სესხები დამფუძნებლებიდან	55074	56741	36587
სულ:	79409	84041	121276
3 ვალდებ. და ხარჯების ანარიცხ. (გადასახდელი პროცენტი)	3524	3524	3524
სულ:	3524	3524	3524

მიმდინარე სასესხო ვალდებულება (დარჩენილი ნაშთი 7000 ლარი) ნასესხებია თანამშრომლებისგან. 2021 წელს საბანკო სესხი კომპანიას არ აუღია. სესხები წარმოდგენილია გაერთიანებული , როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში კონვერტირებული ეროვნული ლარის კურსით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდისთვის.

აშშ დოლარში სესხებს ასეთი სახე აქვს :

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მიმდინარე სასესხო ვალდ. (დამფუძ.)	0	0	0
სულ :	0	0	0
2 გრძელვადიანი სასესხო ვალდ.:			
2.1 სესხები საბანკო	0	0	0
2.2 სესხები დამფუძნებლებიდან	9311	9311	3611
სულ :	9311	9311	3611

დამფუძნებლების სესხის ვადიანობა 3-დან 10-წლამდეა, საპროცენტო განაკვეთი 0%-დან 10 %-მდე (ძირითადად უპროცენტო სესხია). გადასახდელ პროცენტში მოცემულია დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი თანხა ანგარიშგების თარიღისათვის.

4.9 მოგება-ზარალის ანგარიშგება

4.9.1 ამონაგები

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
რეალიზაცია	326294	526638
დაბრუნებული საქონელი	(12399)	(50896)
სულ:	313895	475742

რეალიზაცია მოიცავს საკუთარი წარმოების პროდუქციის (მედიკამენტების) და შეკვეთით დამზადებული მედიკამენტების რეალიზაციიდან ამონაგებს.

4.9.2 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
რეალიზ.პროდუქ.თვითღირებ.	184054	263776
სულ:	184054	263776

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წარმოებაში მომუშავე თანამშრომელთა ხელფასებს, ასევე საკუთარი პროდუქციის წარმოებისას გამოყენებულ ნედლეულისა და მასალების თვითღირებულებას, შენობისა და მწარმოებელი მანქანა-დანადგარების ცვეთას, წარმოებაში გამოყენებული აქტივების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის გასაყიდად წარმოებისთვის.

4.9.3 წმინდა მოგება-ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
დადებითი საკურსო სხვაობები	3581	1718

უარყოფითი საკურსო სხვაობები	(1668)	(5443)
წმინდა მოგება -ზარალი გადაფას.	1913	(3725)

4.9.4 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12819	23098
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2081)	(18954)
წმინდა შემოსავალი/ხარჯი	10738	4144

სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში გაერთიანებულია შემოსავლები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული, ერთ-ერთი არის ჩვეულებრივი იჯარა შემკვეთთან, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით ვუმზადებთ მედიკამენტს და ვინახავთ კომპანიის საწყობში მის რეალიზაციამდე; შემკვეთი ყოველთვიურად იხდის დამზადების და დარიცხული იჯარის თანხას. სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში გაერთიანებულია აგრეთვე სტუდენტების პრაქტიკიდან შემოსავალი, სუბსიდია საშემოსავლო გადასახადზე(მთავრობის მიერ მოცემული) და სხვა. სხვა არასაოპერაციო ხარჯების შემადგენლობაში შედის ჯარიმა-საურავი და სხვა.

4.9.5 სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი

რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები აერთიანებს შემდეგ ელემენტებს :

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
სოც.დანახარჯები შრომის ანაზღ.	26	134
შრომის ანაზღაურება	2469	12492
რეკლამა	336	2274
მივლინება	0	0
ჩეკთან გათ.დოკუმენტი	5	22
რეალიზ.დაკ.ხარჯი	207	0
ბენზინის ხარჯი	4561	2845
სულ:	7604	17767

4.9.6 ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები აერთიანებს დანახარჯების შემდეგ ელემენტებს:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
მედიკამენტების ანალიზი	7932	214
სოციალური დანარიცხები	899	887
შრომის ანაზღაურება	147993	144668
ცვეთა და ამორტიზაცია	53353	50119
ოფისის ხარჯი	2542	3980
საკომუნიკაციო ხარჯი	4455	4438
ტრანსპორტის ხარჯი	7833	13890
ბანკის მომსახურება	1002	1364
კომუნალური ხარჯი	7758	6244
მივლინება	0	0
სხვა საგადასახადო ხარჯი	6469	6818
კომპიუტერის ხარჯი	90	165
საკანცელარიო	4731	4446
სამკურნ.საშ.რეგისტრ.მოსაკ.	0	0
მიმდინარე რემონტი	6142	1672
აუდიტორული მომსახურ.	6949	0
სხვა ხარჯები	19886	10804
სულ ადმინ.და სხვა საოპ.ხარჯი:	278034	249709

სხვა საგადასახადო ხარჯებში შედის ქონების, მიწის გადასახადის, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიის გადასახადის და მოგების გადასახადის ხარჯი, რომელიც წარმოიშვა არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. სხვა ხარჯების შეემადგენლობაში გაერთიანებულია: დღგ-ს ხარჯი, რომელიც ვერ ჩაითვალა კომპანიაში; აგრეთვე საწარმოო ზარალი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით.

4.9.7 მოგება – ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან

კომპანიას 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ გუყიდა ძირითადი საშუალებები. წინა საანგარიშგებო(2020 წელს) გაყიდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საიდანაც ნაღარებია წმინდა შემოსულობა 63158 ლარი, აგრეთვე გაიყიდა ამორტიზირებული მსუბუქი ავტომანქანა ნაღარებია წმინდა შემოსულობა 500 ლარი. სულ წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში არის 63658 ლარი.

5. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგება-ზარალს. საანგარიშგებო წელს შეიცვალა დამფუძნებელი (100% წილს ფლობს შპს“ავალენზ“) რის გამოც, მოხდა ძველი დამფუძნებლის შესატანი თანხის კორექტირება 8414 ლარით და საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის კომპანიის კაპიტალი შეადგენს 738788 ლარს.

კომპანია ცდილობს ისე მართოს კაპიტალი საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით და ის გამოიყურება შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახს.	379428	432369
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	12722	11490
მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	(219606)	(267738)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(184997)	(209120)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(0)	(0)
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯ.ანაზღ.და ავანსები	(0)	(0)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(64540)	(80086)

გადახდილი მოგების გადასახადი	(99)	(9)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(6538)	(10918)
საოპერაციო საქმიანობ. ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	-83630	-124012
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან :		
ძირ. საშუალებ. და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობ.	0	243208
ძირითადი საშუალებების და არამატ. აქტივების შეძენა	(6700)	(20456)
საინვესტიციო საქმიანობ. ფულადი სახსრებ. წმინდა ნაზარდი	-6700	222752
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან/ კაპიტალის ზრდისგან	0	48760
მოკლევადიანი სესხების აღება	27000	0
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(20000)	0
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	0	17862
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(2965)	(84653)
გადახდილი პროცენტები	0	(6059)
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახს. წმინდა ნაზარდი	4035	-24090
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვ. ზრდა/კლება (ნეტო)	-271	- 657
ფულადი სახსრ. და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზარდი	-86566	73993
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყის.	90309	16316
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	3743	90309

7. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდეგ არ ყოფილა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვდა ამ ფინანსური ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რიცხვების კორექტირებას.

8. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

8.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგებისგან მაგალითად, ძირითადი საშუალებების სასიცხოცხოლო ვადები და უიმედო ვალები; კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

9. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისგან, რომელიც გამოწვეულია როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში ძირითადად ნედლეულისა და მასალების შესყიდვისთვის ტრანზაქციებს აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა. საკურსო სხვაობების რისკი გამოწვეულია აგრეთვე კომპანიის სესხებით, რომლებიც აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში.

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ცდილობს განახორციელოს გონივრული პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

10. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID-19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს და განიხილავს მიმდინარე მოვლენების განვითარებას, როცა მთავრობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები პანდემიის საპასუხოდ, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მომქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. დიდ იმედებს ვამყარებთ მომავალ საანგარიშგებო წელზე; არსებული პროგნოზებით პანდემიის პიკმა გადაიარა და კომპანია შენარჩუნებული შტატით, საბაზრო სეგმენტით ახორციელებს GMP -ის სტანდარტებზე (რომლის დანერგვა გაგრძელდა 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით) გადასავლელ სამუშაოებს მისი დასრულებისა და სერთიფიცირებისთვის.

მთავარი ბუღალტერი: ბექანი ტონია -----

შპს „გამა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6


შპს „გამა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,743	90,3	
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	1,700	1,7	
მოკლევადიანი მარაგები	187,803	174,9	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	89,618	98,8	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	787	2,9	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	300	8,7	
სხვა არამატერიალური აქტივები	24,002	25,9	
ძირითადი საშუალებები	606,540	651,7	
სულ აქტივები	914,493	1,055,3	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13,640	15,3	
ანარიცხები	3,524	3,5	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7,000		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	79,409	84,0	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	72,132	62,0	
სულ ვალდებულებები	175,705	164,9	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1,925,039	1,933,4	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,186,251)	(1,043,1	
სულ საკუთარი კაპიტალი	738,788	890,3	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	914,493	1,055,3	

მთავარი ბუღალტერი: ბეჟანი ტონია




შპს „გამა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	313,895	475,742
გაყიდვების თვითღირებულება	(184,054)	(263,776)
საერთო მოგება	129,841	211,966
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(147,993)	(144,668)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(7,604)	(17,767)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(6,469)	(6,418)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(12,213)	(10,582)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(7,833)	(13,890)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	(53,353)	(50,119)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(50,173)	(23,532)
საოპერაციო მოგება	(155,797)	(55,510)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	63,658
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	1,913	(3,725)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	10,738	4,144
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(143,146)	8,567
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	(143,146)	8,567
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(143,146)	8,567

მთავარი ბუღალტერი: ბეჟანი ტონია




შპს „გამა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები

31/12/2021

31/12/2020

(83,630)

(124,012)

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი) წმინდა ფულადი ნაკადები

(6,700)

222,752

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები

4,035

(24,090)

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

(86,295)

74,650

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა

(271)

(657)

ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

90,309

16,316

ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

3,743

90,309



კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,877,360	(939,931)	937,429
პერიოდის შედეგი		(111,741)	(111,741)
გაცემული დივიდენდი			
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,877,360	(1,051,672)	825,688
პერიოდის შედეგი	56,093	8,567	64,660
გაცემული დივიდენდი			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,933,453	(1,043,105)	890,348
პერიოდის შედეგი	(8,414)	(143,146)	(151,560)
გაცემული დივიდენდი			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,925,039	(1,186,251)	738,788

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც წარმოდგენილია 6-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მთავარი ბუღალტერი: ბეჟანი ტონია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გამა“ (კომპანია) დაფუძნებულია და რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 30 აგვისტოს. სარეგისტრაციო ნომერი 2/4-869. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 49ბ; ფაქტიური მისამართი : სოფელი მარტყოფი; საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი 201950273.

2021 წლიდან შპს „გამა“-ს 100% წილიდან ასივე პროცენტს ფლობს შპს „ავალენზი“ საინდეტიფიკაციო ნომერი 405347414 .

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტების) წარმოება, მასთან დაკავშირებული ნედლეულის შესყიდვა და გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია;

სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული .

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს სტანდარტები).

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა– ელექტრონული ფორმით, კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“.

კომპანია იყენებს კანონის შესაბამისად მოქმედ ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმას. ძირითადად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა 2021 წლისთვის შეადგენდა 22 თანამშრომელს (2020 წელს 27 თანამშრომელს).

2. შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოცემულია ლარებში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3,0976 ლარს და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 3,2766 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული შედეგები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობისას) ღირებულებით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს ჯგუფების მიხედვით 2-დან 25 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს :

N ჯგუფის დასახელება	ცვეთის ნორმა %
1 შენობა-ნაგებობები	4
2 მანქანა-დანადგარები	10-20
3 ელექტროძრავები, თბოტექ. მოწყ.	10-20

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღირიცხება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს : ნასყიდობის ფასს, საიმპორტო ბაჟს, უკან ამოღებას დაუქვემდებარებელ გადასახადებს, კომპანიაში ტრანსპორტირებას, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს ; საკუთარი ძალით სამეურნეო წესით შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტიური თვითღირებულებით;

ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით(დისკონტირებული);

უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;

მოგება, ან ზარალი , რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში.ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია ანგარიშგებაში თვითღირებულებით (გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი-ასეთის არსებობისას), რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით; საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება ფაქტობრივი თვითღირებულებით;

არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის ამოწურვამდე, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-10 წელს; ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური ხარჯების გადაცემას. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საიჯარო გადასახადი მეიჯარისთვის არის შემოსავალი, ხოლო მოიჯარისთვის ხარჯი, რაც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 სხვა აქტივები

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

შრომის დაცვის საშუალებები და სპეცტანსაცმელი აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შემენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები კომპანიის მიერ შემოსავალში ტარდება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

კომპანიაში წარმოებული მზა პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოების თვითღირებულებით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით;

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება „საშუალო შეწონილი“ ფასების მეთოდით.

პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში; პროდუქციის თვითღირებულებაში შესული ნედლეულის ხარჯვის ნორმები აღებულია კომპანიის შესაბამისი დროებითი ფარმაკოპეის სტატიებიდან, რომელიც დამტკიცებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ;

შეზღუდული ვარგისიანობის ვადის მქონე საკუთარი წარმოების პროდუქციის სავაჭრო-საბითუმო ქსელიდან დაბრუნების შემთხვევაში ჩამოფასდება შესაძლო სარეალიზაციო ფასამდე, გაიყიდება ან ვადის გასვლის შემდეგ ჩამოიწერება ზარალში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ფინანსურ ანგარიშში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

3.6.1 ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა-ჩასხმა წარმოებს პლასტიკური ბარათით შესყიდვის ღირებულებით. საწვავი ავტოსატრანსპორტზე ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმის შესაბამისად;

კომპანიის მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

ორმოცდაათ ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;

სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

3.7 მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნა (აქტივი) აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. მოთხოვნის (აქტივების) აღიარება წყდება, როდესაც აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს აქტივებთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები ანგარიშგებაში მოცემულია ნომინალური ღირებულებით; მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. მოთხოვნების ამოღება დამოკიდებულია იმ განუსაზღვრელ გარემოებებზე, რომელშიც საწარმოს უხდება საქმიანობა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სავსებით შესაძლებელია რომელიმე პირმა ვერ შეასრულოს თავისი ვალდებულება საწარმოს წინაშე და ვერ უზრუნველყოს მოთხოვნის დაფარვა ნაწილობრივ ან მთლიანი ოდენობით. აღნიშნული გარემოება განაპირობებს მოთხოვნების უიმედობას, რაც თავისთავად უნდა

ჩამოიწეროს(მსს ფასს-ის 11.21-11.23 მუხლი). უიმედო მოთხოვნების ჩამოწერის აუცილებლობა ნაკარნახებია შესაბამისობისა და საიმედოობის მოთხოვნით. უიმედო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

3.8 ვალდებულებები

ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ანგარიშგებაში ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა მოუწევს კომპანიას;

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ანგარიშგებაში აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით;

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო გაწეული.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა, რაც აღიარებულია კომპანიის კაპიტალში.

2021 წელს მოხდა დამფუძნებლების შეცვლა(100% წილს ფლობს შპს“ავალენზ“) და საწესდებო კაპიტალში შეუტანელი თანხების სტორნირება 8414 ლარით.

აკუმულირებული მოგება–ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება–ზარალს.

3.10 შემოსავლების აღიარება და ხარჯების აღრიცხვა

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოიმუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია ნეტო ღირებულებით (ე.ი. დღგ-ს გარეშე).

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მისი წყაროების მიხედვით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15 %-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომელიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას აქვს ზარალი მიღებული, რომელიც ზრდის წინა წლებში მიღებულ ზარალს; დივიდენდი არ გაუნაწილებია.

3.12 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ბალანსის ახსნა-განმარტებები

4.1 ძირითადი საშუალებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ჯგუფის დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 შენობა-ნაგებობები	589233	632741	680234
2 მანქანა-დანადგარები	1123	1588	12678
3 ელექტროძრავები, თბოტექ. მოწყ.	6620	7474	7180
4 კომპ. ტექნიკა და პერიფ. მოწყ.	6979	2171	1110
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	146	275	563
6 მსუბუქი ავტომობილები	15016	17000	0
აკუმულირებული ცვეთა	(50945)	(47831)	(60272)
	568172	613418	641493
6 მიწის ნაკვეთი	37768	37768	278540
7 ბიოლოგიური აქტივი	600	600	600
სულ გრძელვადიანი აქტივი :	606540	651786	920633

ანგარიშგებაში წარმოდგენილი გრძელვადიან აქტივებს ასეთი სტრუქტურა გააჩნია;

სხვა გრძელვადიან აქტივებში მოცემულ 300 ლარი ჩარიცხულია როუმინგისთვის (მოზ. ტელეფონისთვის); მიწის ნაკვეთს ცვეთა არ ერიცხება; ბიოლოგიური აქტივი (კაკვასიური ნაგავი) ადმინისტრაციამ მიაკუთვნა გრძელვადიან აქტივებს იმ დანიშნულებით, რომ ის ასრულებს სადარაჯო ფუნქციებს და არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგიურ აქტივს, ცვეთა არ ერიცხება.

2019 წელს შემოსულია 778 ლარის ძირითადი საშუალებები, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2020 წელს შემოსულია 19756 ლარის და გაიყიდა ამორტიზებული მსუბუქი ავტონაჩანა. 2021 წელს შემოსულია 5700 ლარის ძირითადი საშუალებები, ჩამოწერა არ განხორციელებულა.

4.2 არამატერიალური აქტივები

ანგარიშგებაში წარმოდგენილი არამატერიალურ აქტივებს შემდეგი სტრუქტურა გააჩნია:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 პროგრამული უზრუნველყოფა	209	277	339
2 ლიცენზიები	3539	3170	2837
3 სხვა არამატ-აქტივები	23214	25437	27661
აკუმულირებული ცვეთა	(2960)	(2922)	(2652)
სულ არამატერიალური აქტივები :	24002	25962	28185

2019 წელს შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 1800,00 ლარის ოდენობით და 338,98 ლარის პროგრამული უზრუნველყოფა, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2020 წელს შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 700 ლარის ოდენობით, ჩამოწერა არ განხორციელებულა. 2021 შეძენილია მედიკამენტების ხუთწლიანი ლიცენზია 1000,00 ლარის ოდენობით, ჩამოწერა არ განხორციელებულა.

4.3 მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 ნედლეული და მასალები	103279	61909	54210
2 შუა პროდუქცია	44769	85483	46262
3 სხვა სასაქონ. მატ. მარაგები	39755	27590	26995
სულ მარაგები :	187803	174982	127467

4.4 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
მოთხოვნები მიწო. მომსახ.:	89618	98821	26472
სულ სავაჭრო მოთხოვნები :	89618	98821	26472

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 15-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. სავაჭრო მოთხოვნებში 2021 წლის ბოლოსთვის არის როგორც საქონლის გაყდვიდან მოთხოვნები, აგრეთვე მიწის გაყიდვიდან სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიფაროს 2022 წელს. კომპანიის ადმინისტრაციას 2021 წელს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

4.5 სხვა მიმდინარე აქტივები და გადახდილი ავანსები

სხვა მიმდინარე აქტივებს და გადახდილ ავანსებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 სხვა მიმდინარე აქტივი :			
წინასწარ გადახ.საშემოს.	0	2283	0
წინასწარ გადახ. ქონება	367	438	677
წინასწარ გადახ.ბუნებ.რეს.მოსაკ.	1	2	4
წინასწარ გადახდილი დღგ	419	263	0
წინასწარ გადახ.ბუღ.ჟურნალისთვის	0	0	360
სულ:	787	2986	1041
2 გადახდილი ავანსები :	1700	1772	10900
სულ:	1700	1772	10900

გადახდილი ავანსები მოიცავს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ მომწოდებლებს; კომპანიის ადმინისტრაციას არ განუხორციელებია უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა.

4.6 გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადი ანგარიშგებაში განმარტებულია 3.11 პუნქტში.

4.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

შეზღუდული საზოგადოება „გამა“-ს ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით ქ. თბილისისა და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში, მათი სტრუქტურა შემდეგია :

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 ნაღდი ფული საღაროში	41	1353	473
2 ეროვნული ვალუტა ბანკში	3669	88948	6278
3 უცხოური ვალუტა ბანკში	33	8	9565
სულ :	3743	90309	16316

უცხოური ვალუტა კონვერტირებულია ლარში ტრანზაქციებისა და ანგარიშგების წარდგენის თარიღებით.

4.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მოწოდ. და მომსახ.წარმ.ვალდებ.	13640	15373	24961
სულ:	13640	15373	24961

გარკვეული საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი 1-30 დღე.
ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ.

4.8.1 სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 გადასახდელი ხელფასები	48364	48364	65519
2 მიღებული ავანსები	13212	0	44611
3 გადასახდელი საშემ.გადასახ.	10516	11341	15630
4 ვალდებულებ.პერსონ.წინაშე	0	0	0
5 გადასახდელი დღგ	0	2301	2460
6 მოგების გადასახადი	0	0	0
7 საპენსიო ანარიცხები	40	40	345
სულ :	72132	62046	128565

საგადასახადო ვალდებულების მუხლებში ჩართულია დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოწურული არ არის. მიღებული ავანსები, 2022 წელს გასტუმრებული იქნება კომპანიის მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის მიწოდებით მყიდველისთვის.

4.8.2 სესხები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მიმდინარე სასესხო ვალდ.	7000	0	27300
სულ:	7000	0	27300
2 გრძელვადიანი სასესხო ვალდ. :			
2.1 სესხები თანამშრომლებისგან	24335	27300	0
2.2 სესხები საბანკო	0	0	84689
2.3 სესხები დამფუძნებლებიდან	55074	56741	36587
სულ:	79409	84041	121276
3 ვალდებ. და ხარჯების ანარიცხ. (გადასახდელი პროცენტი)	3524	3524	3524
სულ:	3524	3524	3524

მიმდინარე სასესხო ვალდებულება (დარჩენილი ნაშთი 7000 ლარი) ნასესხებია თანამშრომლებისაგან. 2021 წელს საბანკო სესხი კომპანიას არ აქვს. სესხები წარმოდგენილია გაერთიანებული, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში კონვერტირებული ეროვნული ლარის კურსით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდისთვის.

აშშ დოლარში სესხებს ასეთი სახე აქვს :

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
დასახელება	თანხა	თანხა	თანხა
1 მიმდინარე სასესხო ვალდ. (დამფუძ.)	0	0	0
სულ :	0	0	0
2 გრძელვადიანი სასესხო ვალდ.:			
2.1 სესხები საბანკო	0	0	0
2.2 სესხები დამფუძნებლებიდან	9311	9311	3611
სულ :	9311	9311	3611

დამფუძნებლების სესხის ვადიანობა 3-დან 10-წლამდეა, საპროცენტო განაკვეთი 0%-დან 10 %-მდე (მირითადად უპროცენტო სესხია). გადასახდელ პროცენტში მოცემულია დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი თანხა ანგარიშგების თარიღისათვის.

4.9 მოგება-ზარალის ანგარიშგება

4.9.1 ამონაგები

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
რეალიზაცია	326294	526638
დაბრუნებული საქონელი	(12399)	(50896)
სულ:	313895	475742

რეალიზაცია მოიცავს საკუთარი წარმოების პროდუქციის (მედიკამენტების) და შეკვეთით დამზადებული მედიკამენტების რეალიზაციიდან ამონაგებს.

4.9.2 რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
რეალიზ.პროდუქ.თვითღირებ.	184054	263776
სულ:	184054	263776

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს წარმოებაში მომუშავე თანამშრომელთა ხელფასებს, ასევე საკუთარი პროდუქციის წარმოებისას გამოყენებულ ნედლეულისა და მასალების თვითღირებულებას, შენობისა და მწარმოებელი მანქანა-დანადგარების ცვეთას, წარმოებაში გამოყენებული აქტივების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის გასაყიდად წარმოებისთვის.

4.9.3 წმინდა მოგება-ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
დადებითი საკურსო სხვაობები	3581	1718

უარყოფითი საკურსო სხვაობები	(1668)	(5443)
წმინდა მოგება -ზარალი გადაფას.	1913	(3725)

4.9.4 სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12819	23098
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2081)	(18954)
წმინდა შემოსავალი/ხარჯი	10738	4144

სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში გაერთიანებულია შემოსავლები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული, ერთ-ერთი არის ჩვეულებრივი იჯარა შემკვეთთან, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით ვუმზადებთ მედიკამენტს და ვინახავთ კომპანიის საწყობში მის რეალიზაციამდე; შემკვეთი ყოველთვიურად იხდის დამზადების და დარიცხული იჯარის თანხას. სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში გაერთიანებულია აგრეთვე სტუდენტების პრაქტიკიდან შემოსავალი, სუბსიდია საშემოსავლო გადასახადზე(მთავრობის მიერ მოცემული) და სხვა. სხვა არასაოპერაციო ხარჯების შემადგენლობაში შედის ჯარიმა-საურავი და სხვა.

4.9.5 სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი

რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები აერთიანებს შემდეგ ელემენტებს :

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
სოც.დანახარჯები შრომის ანაზღ.	26	134
შრომის ანაზღაურება	2469	12492
რეკლამა	336	2274
მივლინება	0	0
ჩვეთან გათ.დოკუმენტი	5	22
რეალიზ.დაკ.ხარჯი	207	0
ბენზინის ხარჯი	4561	2845
სულ:	7604	17767

4.9.6 ადმინისტრაციული ხარჯები და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები აერთიანებს დანახარჯების შემდეგ ელემენტებს:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
მედიკამენტების ანალიზი	7932	214
სოციალური დანარიცხები	899	887
შრომის ანაზღაურება	147993	144668
ცვეთა და ამორტიზაცია	53353	50119
ოფისის ხარჯი	2542	3980
საკომუნიკაციო ხარჯი	4455	4438
ტრანსპორტის ხარჯი	7833	13890
ბანკის მომსახურება	1002	1364
კომუნალური ხარჯი	7758	6244
მივლინება	0	0
სხვა საგადასახადო ხარჯი	6469	6818
კომპიუტერის ხარჯი	90	165
საკანცელარიო	4731	4446
სამკურნ.საშ.რეგისტრ.მოსაკ.	0	0
მიმდინარე რემონტი	6142	1672
აუდიტორული მომსახურ.	6949	0
სხვა ხარჯები	19886	10804
სულ ადმინ.და სხვა საოპ.ხარჯი:	278034	249709

სხვა საგადასახადო ხარჯებში შედის ქონების, მიწის გადასახადის, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიის გადასახადის და მოგების გადასახადის ხარჯი, რომელიც წარმოიშვა არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. სხვა ხარჯების შემაღეწლობაში გაერთიანებულია: დღგ-ს ხარჯი, რომელიც ვერ ჩაითვალა კომპანიამ; აგრეთვე საწარმოო ზარალი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით.

4.9.7 მოგება – ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან

კომპანიას 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში არ გუყიდა ძირითადი საშუალებები. წინა საანგარიშგებო (2020 წელს) გაყიდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საიდანაც ნალიარებია წმინდა შემოსულობა 63158 ლარი, აგრეთვე გაიყიდა ამორტიზირებული მსუბუქი ავტომანქანა ნალიარებია წმინდა შემოსულობა 500 ლარი. სულ წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში არის 63658 ლარი.

5. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგება-ზარალს. საანგარიშგებო წელს შეიცვალა დამფუძნებელი (100% წილს ფლობს შპს "ავალენზი") რის გამოც, მოხდა ძველი დამფუძნებლის შესატანი თანხის კორექტირება 8414 ლარით და საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის კომპანიის კაპიტალი შეადგენს 738788 ლარს.

კომპანია ცდილობს ისე მართოს კაპიტალი საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადექვატური უკუუგები.

6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით და ის გამოიყურება შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
დასახელება	თანხა	თანხა
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახს.	379428	432369
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	12722	11490
მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	(219606)	(267738)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(184957)	(209120)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(0)	(0)
თანამშრომლებზე გაცემული სხვა ხარჯ. ანაზღ. და ავანსები	(0)	(0)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(64547)	(80086)

გადახდილი მოგების გადასახადი	(99)	(9)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(6538)	(10918)
საოპერაციო საქმიანობ. ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	-83630	-124012
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან :		
ძირ. საშუალებ. და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობ.	0	243208
ძირითადი საშუალებების და არამატ. აქტივების შეძენა	(6700)	(20456)
საინვესტიციო საქმიანობ. ფულადი სახსრებ. წმინდა ნაზარდი	-6700	222752
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან/ კაპიტალის ზრდისგან	0	48760
მოკლევადიანი სესხების აღება	27000	0
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(20000)	0
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	0	17862
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(2565)	(84653)
გადახდილი პროცენტები	0	(6059)
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახს. წმინდა ნაზარდი	4035	-24090
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვ. ზრდა/კლება (ნეტო)	-271	- 657
ფულადი სახსრ. და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზარდი	-85566	73993
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყის.	90309	16316
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	3743	90309

7. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდეგ არ ყოფილა ისეთი მოვლენები, რომლებიც ჰყოფიდა ამ ფინანსური ანგარიშგებასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი რიცხვების კორექტირებას.

8. მნიშვნელოვანი ზუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გათვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

8.1 მნიშვნელოვანი ზუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგებისგან მაგალითად, ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები და უიმედო ვალები; კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

9. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისგან და საპროცენტო განავეთის რისკისგან, რომელიც გამოწვეულია როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში ძირითადად ნედლეულისა და მასალების შესყიდვისთვის ტრანზაქციებს აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა. საკურსო სხვაობების რისკი გამოწვეულია აგრეთვე კომპანიის სესხებით, რომლებიც აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში.

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ცდილობს განახორციელოს გონივრული პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

10. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID-19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს და განიხილავს მიმდინარე მოვლენების განვითარებას, როცა მთავრობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები პანდემიის საპასუხოდ, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. დიდ იმედებს ვამყარებთ მომავალ საანგარიშგებო წელზე; არსებული პროგნოზებით პანდემიის პიკმა გადაიარა და კომპანია შენარჩუნებული შტატით, საბაზრო სეგმენტით ახორციელებს GMP -ის სტანდარტებზე (რომლის დანერგვა გაგრძელდა 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით) გადასავლელ სამუშაოებს მისი დასრულებისა და სერთიფიცირებისთვის.

მთავარი ბუღალტერი: ბეჟანი ტონია

